ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2026 წლის I კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 3 582,9 ათ. ლარი, ნაშთი 2026 წლის 1 იანვრისათვის იყო 2 914,3 ათ. ლარი საიდანაც სამ თვეში გაიწერა 897,9 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის I კვარტლის გეგმამ შეადგინა 4 480,8 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2026 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 3 582,9 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 2 821,4 ათ. ლარი (79%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 13,5 ათ. ლარი - ფაქტი 23,8 ათ. ლარი (176%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 2 602,0 ათ. ლარი - ფაქტი 2 319,0 ათ. ლარი (89%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 832,0 ათ. ლარი - ფაქტი 202,8 ათ. ლარი (24%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 135,4 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 98,2 ათ. ლარი (73%), აქედან: პროცენტის გეგმა 30,0 ათ. ლარი - ფაქტი 20,7 ათ. ლარი (69%); რენტა გეგმა 70,0 ათ. ლარი - ფაქტი 31,7 ათ. ლარი (45%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 9,0 ათ. ლარს ფაქტი 29,1 ათ. ლარი (323%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 7,0 ათ. ლარი (140%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,4 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 6,4 ათ. ლარი - ფაქტი 6,1 ათ. ლარი (95%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე დაიგეგმა 15,0 ათ. ლარი, შემოვიდა 3,1 ათ. ლარი (21%); არაფინანსური აქტივების კლება პირველ კვარტალში არ დაგეგმილა - ფაქტიურად შემოვიდა 177.7 ათ. ლარი.

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 4 480,8 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 2 917,9 ათ. ლარი (65%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 250,3 ათ. ლარი - ფაქტი 1 092,4 ათ. ლარი (87%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 321,1 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 304,9 ათ. ლარი (95%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 894,5 ათ. ლარი - ფაქტი 786,7 ათ. ლარი (88%); სარეზერვო ფონდის გეგმა 29,0 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 0.7 ათ. ლარი (12%).

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 1 862,5 ათ. ლარი - ფაქტი 734,3 ათ. ლარი (39%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 651,0 ათ. ლარი - ფაქტი 139,4 ათ. ლარი (21%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 115,0 ათ. ლარი - ფაქტი 100,0 ათ. ლარი (87%);
- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა 8,4 ათ. ლარი - ფაქტი 8,4 ათ. ლარი (100%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 52,0 ათ. ლარი - ფაქტი 42,2 ათ. ლარი (81%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 56,8 ათ. ლარი - ფაქტი 54,9 ათ. ლარი (97%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 18,0 ათ. ლარი - ფაქტი 17,2 ათ. ლარი (96%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 91,8 ათ. ლარი - ფაქტი 91,8 ათ. ლარი (100%);
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 2,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია პირველ კვარტალში არ დაგეგმილა;
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 24,8 ათ. ლარი - ფაქტი 16,8 ათ. ლარი (68%);
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 488,7 ათ. ლარი - ფაქტი 9,9 ათ. ლარი (2%);
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 102,2 ათ. ლარი - ფაქტი 69,8 ათ. ლარი (68%);
- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 58,0 ათ. ლარი - ფაქტი 6,2 ათ. ლარი (11%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 191,0 ათ. ლარი - ფაქტი 174,9 ათ. ლარი (92%);
- სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის გეგმა 2,8 ათ. ლარი - ფაქტი 2,8 ათ. ლარი (100%);

დასუფთავება და გარემოს დაცვის - გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 227,0 ათ. ლარს, ფაქტი 215,1 ათ. ლარი (95%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 186,8 ათ. ლარი - ფაქტი 186,7 ათ. ლარი (100%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 40,2 ათ. ლარი, ფაქტი 28,3 ათ. ლარი (70%);
- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები პირველ კვარტალში არ არის დაგეგმილი;

განათლების ღონისძიებების დაფინანსების - გეგმა 445,4 ათ. ლარი - ფაქტი 281,0 ათ. ლარი (63%);

- სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 224,0 ათ. ლარი - ფაქტი 152,0 ათ. ლარი (68%);
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 20,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 117,6 ათ. ლარი - ფაქტი 70,0 ათ. ლარი (60%);
- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 83,8 ათ. ლარი - ფაქტი 59,0 ათ. ლარი (70%);
- წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის ღონისძიებები პირველ კვარტალში არ დაგეგმილა და ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 550,8 ათ. ლარი - ფაქტი 481,4 ათ. ლარი (87%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 72,5 ათ. ლარი - ფაქტი 69,8 ათ. ლარი (96%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 40,5 ათ. ლარი - ფაქტი 38,7 ათ. ლარი (96%);
- რაგბის ჯგუფის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 9,0 ათ. ლარი, - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 4,5 ათ. ლარი (90%);
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში გეგმა 13,0 ათ. ლარი, - ფაქტი 13,0 ათ. ლარი (100%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საჭიდაო სკოლის გეგმა 76,0 ათ. ლარი - ფაქტი 67,8 ათ,. ლარი (89%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 32,0 ათ. ლარი - ფაქტი 22,2 ათ. ლარი (69%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 24,0 ათ. ლარი - ფაქტი 20,5 ათ. ლარი (85%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 130,6 ათ. ლარი - ფაქტი 128,4 ათ. ლარი (98%);
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 30,0 ათ. ლარი - ფაქტი 27,3 ათ. ლარი (91%);
- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 40,0 ათ. ლარი - ფაქტი 39,5 ათ. ლარი (99%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 24,0 ათ. ლარი - ფაქტი 15,8 ათ. ლარი (66%);
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 10,9 ათ. ლარი, ფაქტი 10,9 ათ. ლარი (100%);
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 17,3 ათ. ლარი ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 24,0 ათ. ლარი - ფაქტი 23,0 ათ. ლარი (96%);
- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 2,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 145,0 ათ. ლარი - ფაქტი 113,7 ათ. ლარი (78%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 51,9 ათ. ლარი - ფაქტი 30,0 ათ. ლარი (58%);
- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 93,1 ათ. ლარი - ფაქტი 83,8 ათ. ლარი (90%). აქედან:
- ავადმყოფთა სოციალური დაცვა გეგმა 35,0 ათ. ლარი - ფაქტი 34,7 ათ. ლარი (99%).
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა გეგმა 13,5 ათ. ლარი - ფაქტი 9,6 ათ. ლარი (71%).

- სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებული დახმარების გეგმა 21,0 ათ. ლარი - ფაქტი 20,8 ათ. ლარი (99%).

- ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 0,3 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.

- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 15,0 ათ. ლარი - ფაქტი 15,0 ათ. ლარი (100%);

- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების გეგმა 1,7 ათ. ლარი - ფაქტი 0,3 ათ. ლარი (18%).

- სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 0,7 ათ. ლარი - ფაქტი 0,4 ათ. ლარი (57%).

- ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 2,5 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.

- ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 3,5 ათ. ლარი - ფაქტი 3,0 ათ. ლარი (86%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ღებში მოსახლეობის წყლით მომარაგებისთვის 250 გრძივი მეტრი მილის შესყიდვისა და ტრანსპორტირებისთვის 1,0 ათ. ლარი;

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.04.2026წ.) ნაშთი შეადგენდა 2 817,8 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 938,1 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 879,7 ათ. ლარს.

შემსრულებელი: თინათინ ბროლაშვილი

ნინო მეტრეველი